

საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02 / 88

ქ. ბათუმი

14 აპრილი, 2022 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 07 აპრილის N363243 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და სამუშაო ჯგუფის წევრებს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი


მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 14 აპრილის №01-02/88 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

1. მამუკა გოგელია - ასისტენტ-პროფესორი, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კოორდინატორი) - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. ნიკოლოზ მესხი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე;
3. შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
4. მამუკა თურმანიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მაგისტრი მცენარეთა დაცვაში, აგრონომი, მცენარეთა დამცველი; The USAID Agriculture Program/CNFA-Georgia ექსპერტი/კონსულტანტი სასათბურე მეურნეობების განვითარების მიმართულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროგრამის განმახორციელებელი პირი, დამსაქმებელი;
5. ლუკა ვანიშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის მეციტრუსე აგრონომი, მცენარეთა დამცველი, დამსაქმებელი;
6. ლაშა მელაძე - ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ჩაქვის ციტრუსებისა და გვარახუცუბნის სანერგე მეურნეობების პროგრამის ხელმძღვანელი, მცენარეთა დამცველი.